



დანართი

## საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

#### მუხლი 1. რეგულირების სფერო

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებს და ადგენს მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემას.

#### მუხლი 2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი

1. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი გულისხმობს წინასწარ ჩამოყალიბებული ინსტრუმენტების მეშვეობით მართვის ეფექტიანობის კვლევას, ანალიზს და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებას. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის.

2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი უნივერსიტეტში ხორციელდება სამი მიმართულებით:

- ა) ინსტიტუციურ დონეზე;
- ბ) სტრუქტურული ერთეულების დონეზე;
- გ) ინდივიდუალურ დონეზე.

3. მონიტორინგის განხორციელება ინსტიტუციურ დონეზე გულისხმობს სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების/აქტივობების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის ანალიზს შესრულების ინდიკატორების შესაბამისად. მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ამოცანების ეფექტიანობის შეფასება.

4. მონიტორინგი სტრუქტურული ერთეულების დონეზე გულისხმობს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შეფასებას ამ წესის დანართი N1-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

5. მონიტორინგი ინდივიდუალურ დონეზე გულისხმობს თითოეული თანამშრომლის კმაყოფილების კვლევას ამ წესის დანართი N2-ის შესაბამისად დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასებას დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 7 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

6. ინსტიტუციურ და სტრუქტურულ დონეზე მონიტორინგის ინსტრუმენტად გამოიყენება ამ წესის დანართი N3-ის შესაბამისად განსაზღვრული სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა.

### **მუხლი 3. შეფასების სისტემა**

1. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემის დანერგვის მიზანია უნივერსიტეტში უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილებების დროულად და ეფექტურად მიღების პროცესის გამართული ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა.

2. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი წარმოებს კალენდარული წლის ბოლოს და ემყარება შესაბამის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ და შესაბამისი ცვლილების პროექტი.

3. დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას.

4. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს თითოეული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას, ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს ან კანცლერს (სუბორდინაციის გათვალისწინებით). ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია შესრულებული საქმიანობის შესახებ სტრუქტურული ერთეულის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების მიხედვით. ანგარიშის მიხედვით ხდება სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შეფასება იმ ხელმძღვანელი პირების მიერ, რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფება სტრუქტურული ერთეული. შეფასება წარმოებს დანართ N1-ში მითითებული წესის მიხედვით. შეფასების შედეგების მიხედვით, ხელმძღვანელი პირი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების გადახედვის შესახებ/და ან საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

5. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება თანამშრომელთა შეფასება და მათი კმაყოფილების კვლევა. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებას და ანგარიშის მომზადებას, რომელიც წარედგინება კანცლერს და რექტორს. შეფასებები გამოიყენება დასაქმებულის წახალისების, პროფესიული განვითარების, დაწინაურების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ან სამუშაოდან გათავისუფლებისთვის.

6. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური და ანგარიშს წარუდგენს კანცლერს და რექტორს სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვისა და მართვის პროცესში განსახორციელებელი ცვლილებების მიზნით.